

# მერაბ მამარდაშვილი

WCVYFWU XU WJ]` ]nUWU

თარგმანი რუსული ენიდან ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს  
რუსული ტექსტის რედაქტორი: ელენე მამარდაშვილი

გამომცემლობა „აქტი“  
თბილისი – 2020



წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით.  
The book is published with the support of the  
Writers' House of Georgia.

მთარგმნელი: **დიმიტრი უჩანეიშვილი**  
რუსული ტექსტის რედაქტორი: **ელენე მამარდაშვილი**  
კორექტორი: **ნინო შონია**  
გამომცემელი: **გიზო ცაცუა**

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი  
ვებ-გვერდი: [akti.ge](http://akti.ge)

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:  
M. Мамардашвили, „Сознание и цивилизация“, Азбука,  
Санкт-Петербург, 2019.

გარეკანზე გამოყენებულია ფრანცისკო ინფანტეს ნახატი –  
„არტე ფაქტები“ ციკლიდან „აპლიკაციები“. 1992.

© ელენე მამარდაშვილი  
© დიმიტრი უჩანეიშვილი  
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2551-4

# ԺԵՂՈՎԱՐ

մտարցմելով նոնասության օրը ..... 4

## ԽԵՎԱՐՄԱՆ ԽՍ ՎԵՐԱԿՐՈՒՅԹ

Հեղուարման օրը ..... 9
Սամո „Կ“-ս ձրությունը ..... 13
Գանջևածանուցությունը ..... 19
Հոգուարման օրը ..... 22
Հեղուարման օրը ..... 26
Սարկուածքը սամպարությունը ..... 28
Եզրուարման օրը ..... 33
Հոգուարման օրը ..... 39
Տաշուարման օրը ..... 61
Բիբլիական օրը ..... 106
Ածառուարման օրը ..... 120
Մեծամյա մատուցությունը ..... 138
Սամոյալակյունը սահուարման օրը ..... 151
Տոնական օրը ..... 191
Եմանուարման օրը ..... 206
Սամոյալակյունը սահուարման օրը ..... 231
Տաշուարման օրը ..... 247
Համայնքի օրը ..... 276
Տաշուարման օրը ..... 302
Տաշուարման օրը ..... 302
Տաշուարման օրը ..... 310
Տաշուարման օրը ..... 317
Տաշուարման օրը ..... 323
Տաշուարման օրը ..... 330
Տաշուարման օրը ..... 331

k] b] g] h] j] l] c] v]

მერაბ მამარდაშვილს „სოკრატესებურ“ ფილოსოფოსს უწოდებდნენ, არა მხოლოდ მისი ფილოსოფიის დიალოგური ხასიათის გამო, არამედ იმ მიზეზითაც, რომ მას თითქმის არ დაუტოვებია წერილობითი მემკვიდრეობა. ბატონი მერაბის თითქმის მთელი შემოქმედება წაკითხული ლექციებისა და მისთვის ჩამორთმეული ინტერვიუებისგან შედგება, რომელთა აუდიოჩანანერებიდან მოხდა მოგვიანებით წერილობითი ტექსტების აღდგენა.

არც წინამდებარე წიგნი წარმოადგენს გამონაკლისს. ისიც სხვადასხვა წლებსა და სხვადასხვა ქვეყნებში წაკითხული ლე-ქციებისა და გაცემული ინტერვიუებისაგან შედგება. მთავარ თემას, ისევე, როგორც პატონი მერაბის მთელი ფილოსოფიისა, ცნობიერება და ცნობიერების პრობლემა შეადგენს („მთელი ცხოვრება ცნობიერების პრობლემებს მივუძღვენ“, ამბობს ის წინამდებარე წიგნში მოტანილ ერთ-ერთ ინტერვიუში).

ლექციებისა და ინტერვიუების უმეტესი წანილი საბჭოთა კავშირისათვის გარდამავალ პერიოდში, ე.წ. „პერესტროიკის“ პორქაშია ჩაწერილი და გასაკვირი არ არის, რომ, როგორც ზოგადად პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების აგების საკითხები, ისე ქვეყნის სამომავლო მოწყობის ფორმა, ეროვნულობა და ეროვნული თვითგამორკვევა, საფუძვლიანი განხილვის საგანი გახდა. აქვე უნდა ითქვას, რომ უკიდურესად საინტერესოა ფილოსოფოსის მიერ წარსულის მოვლენათა შეფასება, რასაც სრულიად ახალ განზომილებაში გადაეყყავართ.

ამავე ჭრილში ხაზგასასმელია ბატონი მერაბის მოსაზრებები საქართველოსთან მიმართებით. წიგნში არაერთ ასეთ ადგილს შეხვდებით, სადაც მკაფიოდ ჩანს მერაბ მამარდაშვილის ქართული, ღრმად ქართული პოზიცია.

ზოგი მკითხველისათვის ბატონი მერაბის რიგი შეხედულება შესაძლოა პარადოქსულად და მიუღებლადაც კი უდერდეს, მაგრამ, თუნდაც ეს ასე იყოს, უდავოა, რომ ისინი დღემდე აქტუალური და ყურადსაღებია და სულ ცოტა, შემდგომი მსჯელობისა და კამათის საფუძველს ქმნის.

აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ მერაბ მამარდაშვილი ხშირად თავის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, შეიძლება ითქვას, „საკუთარ“ ტერმინებს იყენებს – ესაა ცნებები, რომლებსაც ანალოგი არ მოეძებნება და რომელთა თარგმნა, შესაბამისად, საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული. ქართველი მკითხველისთვის ასეთ ცნებებში ორიენტირების გასაადვილებლად წინამდებარე წიგნს თან დავურთეთ ამ ტერმინთა ლექსიკონი, რომელშიც ბატონი მერაბის ყველაზე ტიპიურ ცნებათა თარგმანებია მოცემული.

დაბოლოს, მსურს მადლიერება გამოვხატო, რომ მომეცა შესაძლებლობა მეთარგმნა ეს წიგნი, რითიც, ვფიქრობ, გამდიდრდა, როგორც მერაბ მამარდაშვილის ქართული ფილოსოფიური ბიბლიოთეკა, ასევე ზოგადად აზროვნების ბიბლიოთეკა ქართულ ენაზე.

**დიმიტრი უჩანევიშვილი**

WcVYFYU XU Wj ]`]nUWU

WCVYFYU XU VY]`]nWU f% , (%

სათაურად გამოტანილი თემა, რასაკვირველია, ერთობ მრავალმნიშვნელოვანია, ასოციაციათა სიმრავლეს იწვევს და უკიდურესად ზოგადია, მაგრამ ჩემთვის ის კონკრეტულია და თანამედროვე სიტუაციის ხასიათის ცოცხალ შეგრძებას უკავშირდება, რომელიც მე მაღლვებს და მაშვილებს და რომელშიც ვხედავ მრისხანე კონტურებს ერთგვარი სიღრმისეული სტრუქტურისა, რომელიც შესაძლოა შეუქცევადი გახდეს, როთიც ჩემში ძრწოლას იწვევს, იმავდროულად კი სურვილს, – „ცრემლისა და ღიმილის“ გარეშე – დავფიქრდე, გავიგო, დავინახო ამ ყოველივეს მიღმა რაიმე ზოგადი კანონი. ასე რომ, ძრწოლისა და ცნობისმოყვარე განცვიფრების შერეული გრძნობით მსურს გამოვთქვა ჩემი შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

განსჯისთვის ტონის მისაცემად შეგვიძლია მისი ნერვი ასე დავახასიათოთ. ეს არის შეგრძნება, რომ იმ მრავალრიცხოვანი კატასტროფებიდან, რომლებითაც სახელი გაითქვა და გვე-მუქრება XX საუკუნე, ერთ-ერთ ძირითადსა და ხშირად გონიერის მზერისთვის დაფარულს წარმოადგენს ანთროპოლოგიური კატასტროფა, რომელიც არცთუ ისეთი მრავალფერი და ეფექტური მოვლენებით გამოიხატება, როგორც ახლომყოფი, ზეახალი ვარსკვლავის სავარაუდო აფეთქება, ან დედამიწის შეჯახება მსხვილ ასტეროიდთან არ გამოიხატება არც დედამიწის ბუნებრივი რესურსების დრამატული გამოფიტვით, ან მოსახლეობის გადაჭარბებული ზრდით, არც ეკოლოგიური, ან ბირთვული ტრაგედიით, რომელიც „ათას მზეზე მეტად ელვარეა“. მე მხედველობაში მაქვს მოვლენა, რომელიც თვით ადამიანს ეხება და ცივილიზაციას უკარგშირდება იმ აზრით, რომ რაიმე სასიკონცე-

ლოდ მნიშვნელოვანი შესაძლოა შეუქცევლად გადატყდეს მასში სიცოცხლისა და ურთიერთობის პროცესის ცივილიზაციური საფუძვლების განადგურების, ან უბრალოდ უმყოფობის უშუალო მიზეზით. ეს მოვლენა კი უკვე მთელი სვლით მიდის წინ.

ცივილიზაცია, ისტორია, როგორც „მეორე სამყარო“ (ვერ-ნადსკის ცნებებით უნდა გვეთქვა „ნოოსფერო“) – ერთობ მყიფე ყვავილია. XX საუკუნეში კი ცხადია, რომ მის ხშირად უხილავ კავშირობებში, მის ნატიფ არქიტექტონიკაში ბზარები და ნახეთებები ან, პირიქით, საცობები გაჩნდა. მაგრამ, ჩემთვის ის არის საინტერესო, რომ ამ ბზარებსა და საერთოდ ცხოვრების ცივილიზაციური საფუძვლების უმცირეს მოშლასაც კი, რაც ადამიანის ელემენტშიც, მის ადამიანურ მატერიალიც (უკიდურესი გამოხატულებით ეს არის ანთროპოლოგიური კატასტროფა, რომელიც შესაძლოა ყველა სხვა სავარაუდო კატასტროფის პროტოტიპად გამოდგეს) საყოველთაო ხრწნას იწვეს, ადგილი აქვს, როგორც ონტოლოგიური კანონების უცილობელი და ერთობ პოზიტიური არსებობის უბრალო უარყოფით გამოხატულებას, რომელთა შესაბამისად არის მოწყობილი ადამიანის ცნობიერება და არსებობა. ადამიანი თითქოს ვერ უმკლავდება მათი ტვირთვის დაძაბულობას. აი, მაშინ, კი ყველას „მათი საქმისა და რწმენისამებრ“...

როდესაც მე ვკითხულობ სიას გლობალურ კატასტროფა-თა სახეობებისა, რომელიც, მაგალითად, აზიმოვის მიერ არის შედგენილი, და უეცრად, ათობით სხვა კატასტროფას შორის ვხვდები დედამიწის შესაძლო შეჯახებას მის მშთანმთემელ მაკროკოსმულ შავ ხვრელთან, უნებურად ვაცნობიერებ: მსგავსი ხვრელი ხომ მართლაც არსებობს, თანაც ერთობ პროზაიკული, ჩვენთვის ნაცნობი აზრით! და რომ საკმაოდ ხშირად ჩვენ, დედამიწელები, ვყვინთავთ და ვქრებით მასში, ხოლო ყველაფერი, რაც ეკრანს მიღმა ხდება ჩვენს თავს, მიუწვდომლად იქცევა, როგორც სხვების, ისე საკუთარი თავისთვის, ხოლო თუ აქვს კიდეც კონტაქტს ადგილი, კონტაქტის ორივე მხარე „ანნი-ჰილირებს“, როგორც მოითხოვება კიდეც ფიზიკის კანონებიდან გამომდინარე შავ ხვრელთან შეხებისას. ჩვენ არ ვიღებთ მონაწ-

ილეობას, ჩვენ ამორთულნი ვართ ცოცხალი ცნობიერების ყოველ-კავშირიდან, სიცოცხლის მდინარებიდან და გავრცელებიდან. „გაგების ხარვეზი“, როგორც ჩაადაევი იტყოდა.

„ინფორმაციული მიუწვდომლობის“, „გაუჩინარების“, „ეკრანს მიღმა ანნიჰილირების“, „ხარვეზისა“ და მათ მსგავს მეტაფორებს გამოვიყენებ ჩემი აზრების განსამარტავად. მაგრამ, მოდით, მანამდე გოტფრიდ ბენის<sup>2</sup> ერთი ლექსი წავიკითხოთ ჩემი, ფაქტობრივად, პწკარედული თარგმანით. ის იმითაა საინტერესო, რომ მასში მიღწეული თვალის ახელა განპირობებულია საზოგადოების განსაზღვრული ფორმის (მხედველობაში მაქვს ტოტალიტარული ნაცისტური სახელმწიფო) პიროვნულად და შინაგანად განცდილი გამოცდილების ფაქტით, რომელიც პრინციპულად არ გააჩნია გარეშე, დაშორებულ დამკვირვებელს და ამ მიზეზით, ამოუცნობს ხდის ასეთი საზოგადოების გამოვლინებებს. მაგრამ, აი, როგორია „შინაგანი ცოდნის“ და მისი მატარებლის, ადამიანის, ბედი ლექსში, რომელსაც შემთხვევით არ აქვს სა-თაურად „მთლიანი“.

ნაწილი ბანგში იყო, მეორე ნაწილი – ცრემლს ღვრიდა,  
რაღაც წამს – ბრწყინვა და კაშკაში, მეორე წამს – წყვდიადი,  
ერთ წამს ყველაფერი გული იყო, სხვა წამს მრისხანედ  
ბობორობდა გრიგალი – რა გრიგალი? ვისი?

მარად უბედური და იშვიათად ვინმესთან,  
სულ უფრო მეტად დაფარული, რადგან შიგნით იხარშებოდა ეს,  
იფრქვეოდა მზარდი ნაკადები და ყველაფერი  
რაც გარეთ იყო, შიგნით მიედინებოდა.  
ერთი მკაცრად გიყურებდა, მეორე კი ლბილი იყო,  
რასაც აშენებდი, ერთი იმას ხედავდა, მეორე – მხოლოდ იმას,  
რასაც ანგრევდი.

მაგრამ ყველაფერი, რასაც ხედავდნენ, – სანახევრო სურათებია,  
რადგან მთლიანს მხოლოდ შენ ფლობ.  
თავიდან თითქოს: დიდხანს ალარ უნდა ველოდოთ მიზანს  
და ცხადი იქნება რწმენა ამიერიდან.  
მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო,

და ქვასავით გვიმზერს მთლიანიდან:  
არც ელვარება, არც ნათება გარეთ,  
უკანასკნელად რომ მიიპყროს შენი მზერა –  
თავშიშველი ქვეწარმავალი სისხლის გუბეში,  
ნამნამებზე კი ცრემლის კვალი.

როგორც გასაგებია ჩვენთვის, სსრკ-ში, ამ ტექსტის სასრული ხატი, ისევე გარკვეულია მისი შინაგანი კავშირები, რომელიც „მთლიანის“ იდეას ეხვევიან გარშემო, უფრო სწორად, „მთლიანთან“ ზიარების შეგრძნებას, რისი განცდა ჩვენთვის ცნობილი სახით ხდება, როგორც ამაღლებული გონება-განწყობილება და მიმდინარე მოვლენების ერთგვარი მისტიკური არსის, სამყაროული საიდუმლოს ფლობა. სწორედ ის არის იმის ნიშანი, რასაც მე რომელილაც უწნაურ მთლიანობათა „შინაგან ცოდნას“ ვუწოდებ, რაც დაშორებული, გარეშე დამკვირვებლის-თვის მიუწვდომელია პრინციპში, მაგრამ რომელშიც ადამიანი, მისი მატარებელიც, მიუწვდომელია საკუთარი თავისთვის. ამაშია საქმის მთელი არსი. რადგან, ბუნებაში ადამიანი მთლიანად არ არის ადამიანში და საკუთარი თავისკენ შორიდან მოდის, მრავალგანზომილებიანი და განფენილი მოცულობიდან, და მოცემულ შემთხვევაში ბოლომდე ვერასოდეს მიდის. არანაირი აზრის დანერგვა არ ხდება, ყველაფერი სცდება მიზანს. ის, რაც „აზრის“ სახითაა თავსა და გრძნობებში, – სინამდვილის მიღმაა, იმის მიღმა, როგორიცაა ფაქტობრივი ვითარება, ადამიანის მდგომარეობა, რაც ხდება მის თავს, და ერთობ ჰგავს ჩრდილს, ან სიზმარს...

აზრი კი, განსაზღვრების მიხედვით, არის ყოვლად-შეტყობინება, საკუთარი თავის მრავლობითი მოცემულობა ერთ-დროულად მრავალ წერტილზე, რომელთა შორის სიცოცხლის ნაკადი გაივლიდა (მათ შორის, გონებასა და თვით მას შორის) და რომლებზეც, როგორც მარადი აწმყოს, ან მარად ახალის ყოველ-კავშირში, ადამიანები ერთობლივად ქმნიან და ახორციელებენ თავის ურთიერთშელნევად არსებობას, ორგანულად ამოზრდილ საერთო სინამდვილეს. ჭეშმარიტად მათ შეუძლიათ

## **მერაბ მამარდაშვილის სნეგათა გამოარტება**

Связность – კავშირობა  
Все-связь – ყოველ-კავშირი  
Все-сообщенность – ყოვლად-შეტყობინება  
Недосуществование – შეუმდგარი არსებობა  
Всевременный – ყოველფრონითი  
Всеместный – ყოველალაგობრივი  
Первовместимость – პირველდამტეობა  
Первоакт – პირველაქტი  
Инобытие – სხვადყოფა  
Можествование – შეძლებობა  
Недеяние – უქმედობა  
Всепространственность – ყოვლადსივრცულობა  
Самовосполнение – თვითშეესაბა  
Самодостоинство – თვითლირსება  
Самостояние – თვითდღომა  
Иначе-чем-уже – სხვარიგად-ვიდრე-უნინ  
Всечленения – ყოველნაწილები  
Зазеркалье – სარკისმილმეთი  
Несодержимость – სიცარიელე  
Ненаглядный – არათვალსაჩინო  
Связка – ნასკვი  
Отличение – განსხვავება  
Явлennость – მოვლენადობა  
Событийствовать – მოვლენობა  
Завязанный – გამონასკვული  
Связующий – მაკავშირებელი  
Плотность – სიკერტივე  
Зазор – ლიუფტი  
Выполненностъ – შესრულებობა

---

თქვენი შენიშვნები გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მისამართზე

E-mail: akti.publishing@gmail.com

T. (+995) 591 92-21-23

## გამომცემლობა 'აპტი'-ს მიერ გამოხვალი წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და პოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
21. ერის ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
  
25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
  
27. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
28. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
  
29. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
30. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
  
31. ოშო – რა არის მედიტაცია?
32. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
  
33. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი